N 70 13/03/2019

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 2

დ. ჩოხატაური **28 თებერვალი, 2019 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

დავით გუდავაძე, დავით ბერძენიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, ზვიად წეროძე, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, ნატო ჩანტლაძე, ლევან ლომინეიშვილი, გივი თავაძე, ენვერი ახალაძე, ბესიკ ყენია, შოთა ჩხიკვაძე, ვლადიმერ სიხარულიძე, იაშა შათირიშვილი, კლოდი მდინარაძე, ზვიადი მამალაძე, კობა კალანდაძე, ბექა გამდლიშვილი, მარინე ბერაძე, დავით შარაშიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ალექსანდრე ყაჭეიშვილი, ლია ჩიგოგიძე, მაია კუტუბიძე, ირაკლი ახობაძე.

არ ესწრებოდა: ერეკლე უღრელიძე, უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მანანა მინდაძე, მაია გიორგაძე, შალვა ჩანტლაძე, მინდია დოლიძე, მამია ბარამიძე, გოჩა მეგრელიშვილი.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვლადიმერ გოგიბერიძე- მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი.

ვალერი ყაჭეიშვილი- ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების უფროსი.

ნიკოლოზ დუმბაძე- სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი.

მერაბ ბერძენიშვილი- არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის უფროსი სპეციალისტი.

მაია გოგოლაძე- საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თეა უჯმაჯურიძე- ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

შ.პ.ს. ,,მაგთიკომის“ მიწისქვეშა და საჰაერო ინფრასტრუქტურის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი- **ლაშა ჭაბჭანიძე**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

4. ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად, სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემაზე თანხმობის მიცემის და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

7. **,,**ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>**აზრი გამოთქვა:**</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ირაკლი ახობაძემ, გოჩა ჯიქიამ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

4. ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" შესაბამისად, სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემაზე თანხმობის მიცემის და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: გოგი ბოლქვაძე

7. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

I საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ სიხარულიძე

აზრი გამოთქვა: დავით გუდავაძემ, ზვიადი მამალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის №37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

II საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ და აღნიშნა, რომ ჩოხატაურში 1 კვ. მეტრი მიწის ფასი არის 12 ლარი. ოზურგეთში , ქალაქში კი დაახლოებით 8 ლარამდეა. მოგეხსენებათ, რომ კოეფიციენტი განსაზღვრავს მიწის ნორმატიულ ფასს. რატომ არის ამხელა სხვაობა და ვინ დაარეგულირა ეს კოეფიციენტი?

ვალერი ყაჭეიშვილი- ეს კოეფიციენტი სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში სხვადასხვაა. მიდგომა გაანგარიშებისა, ისაა, რომ საბაზრო ფასებთან უნდა იყოს მიახლოებული.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია დადგენილება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

მომხსენებელი: ვლადიმერ გოგიბერიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ბექა გამდლიშვილმა.

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ 2018 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ანგარიშის თაობაზე.

IV საკითხი: ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად, სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.

მოისმინეს:

ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად, სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მაია კუტუბიძემ აღნიშნა, რომ მაინტერესებს, ,,წითელი ჯვარი", რომელიც არის შექმნილი ჩვენს მუნიციპალიტეტში, რომლის მიზანიცაა სოციალურად დაუცველთა და უმწეოთა რიცხვის შემცირება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება. დასკვნაში წერია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დაფინანსების 90 % მიემართება ხელფასებში. გამოდის, რომ ჩვენ ეს სამსახური შევქმენით ხელფასებისთვის? 10 % კი რჩება იმისთვის, რაც ამ არის ამ ორგანიზაციის შექმნის მიზანი.

ზაალ მამალაძე- ჩვენ უზრუნველვყოფთ ხელფასებს ამ ორგანიზაციისთვის, ხოლო დანარჩენ პროგრამებს კი ცენტრალური ,,წითელი ჯვარი" უზრუნველყოფს.

მიღებულია განკარგულება: ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის" შესაბამისად, სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის თაობაზე.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემაზე თანხმობის მიცემის და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემაზე თანხმობის მიცემის და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ თუ აღმასრულებელი ხელმძღვანელი განსაზღვრავს თანხას და თანხმობას აძლევს მხოლოდ საკრებულო, მაგრამ თან წარმოდგენილია აუდიტის დასკვნა, სადაც შემსყიდველი არის შ.პ.ს ,,მაგთიკომი" და

მიმწოდებელი აუდიტორული ფირმა. თუ აღმასრულებელი ორგანო განსაზღვრავს თანხას, მაშინ შემსყიდველი უნდა იყოს მერია და მერიას უნდა ყავდეს დაქირავებული აუდიტი, რომ შეაფასოს ქირის ფასი.

ვალერი ყაჭეიშვილი- აუქციონის შემთხვევაში პირდაპირ მიუთითებს კანონი, რომ აუდიტორული დასკვნა უნდა არსებობდეს. აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს საკრებულო. ამ ქმედებით, კანონის მოთხოვნები დარღვეული არ არის.

სხდომაზე მოწვეული იყო შ.პ.ს. ,,მაგთიკომის“ მიწისქვეშა და საჰაერო ინფრასტრუქტურის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ბატონი ლაშა ჭაბჭანიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ სანამ მაგთის ინტერნეტი შემოვიდოდა მუნიციპალიტეტში, მანამდე ის პირადად შეხვდა მუნიციპალიტეტის მერს და გადაწყდა, რომ სანამ ფორმალური მხარე მოგვარდებოდა, ის ისარგებლებდა გარე განათების ბოძებით, რომ ზედ კაბელი დამაგრებულიყო, რაზეც თანხმობა მიიღო მუნიციპალიტეტის მერისგან. სამუშაო პროცესი დაწყებულია და ამის შემდეგი ეტაპია ხელშეკრულება, რომელსაც დადებს მერია და კომპანია, სადაც კონკრეტულად გაწერილია ყველა პირობა.

ზვიად მამალაძემ აღნიშნა, რომ ეს არის კომპანია ,,მაგთიკომის” წმინდა ფინანსური ინტერესი და არა ის, რომ ,,ინტერნეტი ყველა სოფელს.“

თუ ეს ნებართვა გაცემულია, მაშინ ახლა რატომ ვაძლევთ იჯარით შ.პ.ს ,,მაგთიკომს“ 129 ერთეული გარე განათების ბოძებით სარგებლობის უფლებას.

მაინტერესებს, ასევე ვინ დაადგინა, რომ ერთ ბოძზე გადასახდელი უნდა იყოს 2 ლარი და არა მეტი და რატომ 10 წლის ვადით?

ვალერი ყაჭეიშვილი- იჯარის გადაცემა ხდება ბოძის სარგებლობისთვის, რომ განთავსდეს კაბელი ბოძზე.

როცა აუქციონით გადაცემა ხდება, ორივე შემთხვევაში საჭიროა საკრებულოს თანხმობა. აუქციონის გადაცემის დროს, აღმასრულებელი ორგანო წარმოადგენს აუდიტორულ დასკვნას და ქირის ფასს განსაზღვრავს საკრებულო, მაგრამ პირდაპირი განკარგვის დროს განსაზღვრავს აღმასრულებელი ორგანო ქირის ფასს და თანხმობას აძლევს საკრებულო. მერიიდან იყო წარმოდგენილი 2 ლარი და აღნიშნულზე ითხოვს თანხმობას საკრებულოდან.

ლაშა ჭაბჭანიძე- თქვენ ნებისმიერ დროს შეგიძლიათ გაზარდოთ ფასი, ამის ნებას კანონი გაძლევთ და ხელშეკრულებაშიც ჩაწერილია ეს პირობა.

ბექა გამდლიშვილმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებაში რაც წერია, ეს არის შეთანხმების საფუძველი, გადავხედოთ ხელშეკრულებას, გავეცნოთ და თუ შიძლება ყოველწლიურად შევცვალოთ გადასახადი, მაშინ იყოს 10 წლის ვადით, რომ იგივე პროცედურების გავლა არ დაგვჭირდეს ყოველწლიურად.

ზაალ მამალაძე- დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს, სანამ ხელშეკრულებას მოაწერს ხელს, მანამდე კომისიებთან და ფრაქციებთან გაიაროს ხელშეკრულების პირობები, რომ მათაც დაზუსტებით იცოდნენ იმ მუხლის არსებობის შესახებ, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია ცვლილების განხორციელება აღნიშნულ ხელშეკრულებაში.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული დაბა ჩოხატაურის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, არსებული 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემაზე თანხმობის მიცემის და 129 ერთეული გარე განათების ბოძების ნაწილის/წერტილის სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემისას ქირი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის შესახებ მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

აზრი გამოთქვა: ლაშა თოლორდავამ, ბექა გამდლიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

VII საკითხი: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

აზრი გამოთქვა: ირაკლი ახობაძემ, რომელმაც მოითხოვა გათვალისწინებული რომ იყოს თვითმმართველობის კოდექსის 155-ე მუხლის პირობები.

-განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ სხვა ხარჯები შემცირებულია 80,0 ათასი ლარით. რატომ შემცირდა ეს ხარჯი და სად იქნა მიმართული ეს თანხები.

მაია გოგოლაძე- სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებებზეა ეს თანხა განაწილებული.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VIII საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ” -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: თეა უჯმაჯურიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დავით გუდავაძემ, დავით ბერძენიშვილმა, ვლადიმერ სიხარულიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 29

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 29 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნის შესახებ" -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ივლისის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა